№2(204) 19.01.
პარასკევის გამოშვება
ფასი 30 თეთრი

# ფანცვაზია

# წითელი და შავი



...შენ ამშვენებ საწუთროს ტაძარს

შექსპირის სონეტები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის
(იხილეთ მე-2 გვერდი)

58 000 000 ფილოსოფოსი
(იხილეთ მე-13 გვერდი)

აფორიზმების ანთოლოგია
(იხილეთ მე-16 გვერდი)

ქალის სხეულის თითოეულ ნაწილს თავისი ბედნიერება აქვს
*ლეშეკ კუმორი*

## საკროსვორდო ვარიანტი

კარტოფილში ბევრია

კესო არჩილისთვის | აფრიკაშია

აბრეშუმი | მოგზაური

ჩახავა | არაბულ სახელებშია

სიტკბოება | სსრკ ძვ. მოქადრაკე

2 დღეში | სიგარეტი | ბიჭი (მეგრ.)

სამხრ. საქ. ისტ. მხარე

ყველაზე ცნობილი რუსი ქალი

ფანჯიკიძის მე-7 | უექველი


მე-8 გვერდი

ფულის ძველი ერთეული

დიდი ინდოელი | გუდიანი

თუშეთშია

დატვირთული ანუ?

...და მისი ძმები | ბადმინტონი

აშშ-ს შტატი

ზღაპრის პირველი სიტყვა

სითხის საზომი ერთეული

„სასახლე“

ძვ.რუსული ჟურნალი „ნაროდნოე...“

მცირე აზიის ისტ. მხარე

ლექი | თავადი | ჭრილი კედელში

სამიარუსიანი გემი

იაპონური სამოსი

სტენდალის მოთხრობა (...) ვანინი“

ციხესიმაგრე

ნიავი | მრუმე | ჩინური ტანვარჯ.

*შეადგინა ალ.ელერდაშვილმა*

*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*



ვიწყებთ უილიამ შექსპირის სონეტების ბეჭდვას, რაც, ჩვენი აზრით, მეტად გამოადგებათ მისი შემოქმედებით და ზოგადად ინგლისური ენით დაინტერესებულ პიროვნებებს.

შევეცდებით ყოველ ნომერში თითო სონეტი გამოვაქვეყნოთ შესაბამისი პწკარედული და პოეტური თარგმანებით.

## უილიამ შექსპირი
## პირველი სონეტი

**FROM fairest creatures we desire increase,**
**That thereby beauty's rose might never die,**
**But as the riper should by time decease,**
**His tender heir might bear his memory:**
**But thou, contracted to thine own bright eyes,**
**Feed'st thy light'st flame with self-substantial fuel,**
**Making a famine where abundance lies,**
**Thyself thy foe, to thy sweet self too cruel.**
**Thou that art now the world's fresh ornament**
**And only herald to the gaudy spring,**
**Within thine own bud buriest thy content**
**And, tender churl, makest waste in niggarding.**
**Pity the world, or else this glutton be,**
**To eat the world's due, by the grave and thee.**

### (პწკარედი)

უმშვენიერესი არსებებისაგან ჩვენ მოვითხოვთ გამრავლებას,
რათა ამის მეშვეობით სილამაზის ვარდი არასოდეს გაქრეს,
მაგრამ რადგან ზრდასრული არსება დროისა გამო მოკვდება,
მის ნორჩ მემკვიდრეს შეეძლება მისი ხსოვნის შემონახვა.
შენ კი საკუთარ ელვარე თვალებთან პირობა გაქვს შეკრული,
ჰკვებავ შენი სილამაზის ცეცხლს შენივე არსების საწვავით,
ხრიოკად აქცევ მას, სადაც ხვავრიელება ძევს,
შენივე თავის მტერო, შენს ტკბილ არსებას სასტიკად ეპყრობი.
შენ, ვინც ახლა სამყაროს ახალი ჩუქურთმა (ორნამენტი) ხარ
და (ხარ) მხოლოდ ყვავილოვანი გაზაფხულის მაცნე,
შენსავ ჩანასახში (კოკორში) მარხავ საკუთარ არსებას
და, ნაზო მტაცებელო, შენი სიძუნწით იფლანგები.
შეიბრალე ქვეყანა და იკმარე ეს სიხარბე,
წუთისოფლის კუთვნილს ნუ შეჭამთ საფლავი და შენ,

### სამუილ მარშაკის თარგმანი

Мы урожая ждем от лучших лоз,
Чтоб красота жила, не увядая.
Пусть вянут лепестки созревших роз,
Хранит их память роза молодая.
А ты, в свою влюбленный красоту,
Все лучшие ей отдавая соки,
Обилье превращаешь в нищету, -
Свой злейший враг, бездушный и жестокий.
Ты - украшенье нынешнего дня,
Недолговременной весны глашатай, -
Грядущее в зачатке хороня,
Соединяешь скаредность с растратой.
Жалея мир, земле не предавай
Грядущих лет прекрасный урожай!

* * *

მემკვიდრეს უნდა გვიტოვებდეს მამრი თუ მდედრი,
კოკორმა უნდა მიიბაროს ვარდის მშვენება
და რადგან ყველას გზას მოუჭრის სიკვდილის ხვედრი,
შვილებში უნდა გრძელდებოდეს მშობლის ხსენება.
შენ კი გწადია, მარად შეგრჩეს სიტურფე თვალთა,
გსურს, გამოკვებო შენივ ცეცხლით დროის სახმილი,
გინდა ხრიოკეთს დააბერტყო სიუხვის კალთა.
და საკუთარ სულს, როგორც მტერმა, ჩასცე მახვილი.
დღეს, ვით ჩუქურთმა, შენ ამშვენებ საწუთროს ტაძარს,
ხარ წარმავალი გაზაფხულის ზღვა უნაპირო,
ხვალ კი ჩააცმევ შენს სიტურფეს ჟამთასვლის ძაძას
და სამარისკენ წარიტაცებ... ნაზო ნადირო.
იყავ მოწყალე და ნუ ელი ჟამთა აღვსებას,
ნუ აჭმევ მიწას წუთისოფლის კუთვნილ არსებას.

(**თარგმნა ალ.ელერდაშვილმა,13.01.2001**)




1. გუსტავ ფლობერის რომანი **(7)**. 2. დროის აღრიცხვის საერთო საშუალება კატისა და... „ფანტაზიისათვის" **(4)**. 3. წინასწარ გათვლილ-გამიზნული ქმედება **(2)**. 4. მთავარი პერსონაჟი ქალი დემნა შენგელაიას რომანისა „განძი" **(6)**. 5. სადაური იყო ნაპოლეონი? **(5)**. 6. განზოგადოებული სანიმუშო ერთეული ანუ რა? **(3)**. 7. რა ჰქვია შესანიშნავ მოცეკვავეს, ქალბატონ ფოჩიანს? **(5)**. 8. მენჯიც და კარლოვი-ვარიც **(5)**. 9. ანტონ ჩეხოვის ყველაზე დიდი და ფართოპლანიანი მოთხრობა **(7)**. 10. ბოლივიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი **(8)**. 11. როგორი შეიძლება იყოს დარბაზი? **(2)**. 12. ქერარ ფილიპის მეუღლემ დაწერა წიგნი - „დრო სუნთქვასავით (რა?)" **(7)**. 13. მლიქვნელი ანუ როგორი **(2)**. 14. ე.წ. „საფეიქრო ბანანი" **(8)**. 15. სამხედრო ფორმის შემადგენელი ნაწილი წარსულ ეპოქებში **(6)**. 16. კამერუნის ფეხბურთელთა ნაკრებს ჰყავდა ერთი მეკარე... საინტერესო (საკროსვორდე) გვარით... გაიხსენეთ? **(10)**. 17. უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში **(9)**. 18. კბილების ერთ-ერთი უნარი **(1)**. 19. როგორი შეიძლება იყოს სიტყვა... თავშეკავებულ კაცთან? **(2)**. 20. გამანადგურებელი ანუ როგორი (წუთისოფელზედაც ითქმის ხოლმე) **(4)**. 21. დიდი ქუჩა **(2)**. 22. ბაღჩეული კულტურა **(1)**. 23. ძალიან გამხდარი ანუ? **(2)**. 24. ყველა დროის უდიდესი პოლონელი ასტრონომი **(5)**. 25. დაეჭვება-ვარაუდის გამომხატველი სიტყვა **(1)**. 26. რუსული თავადური გვარი, რომლის ერთი წარომადგენელი დეკაბრისტიც კი გახლდათ **(9)**. 27. XVIII ს ფრანგი განმანათლებელ-ფილოსოფოსი **(8)**. 28. სპეციფიური ფრანგული სახელი მამაკაცისა **(4)**. 29. ყველაზე მტარვალი და სისხლისმსმელი ყველა კონკისტადორს შორის **(6)**. 30. მისალმების არაჩვენებური სახესხვაობა **(2)**. 31. მიანმას (იგივე ბირმის) მაცოცხლებელი მდინარე **(9)**. 32. აზიის სახელმწიფო **(2)**. 33. ისევ გუსტავ ფლობერი... ამჯერად მისი მოთხრობა გაიხსენეთ **(9)**. 34. რა ჰქვია აღაზას ძმას ვაჟასეულ „სტუმარ-მასპინძელში" (მხოლოდ ერთხელაა ნახსენები) **(10)**. 35. „თავიანი" მწვანილი **(2)**. 36. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი **(6)**. 37. ვინი არის ბატონი დიტო შანიძე თავისი სპორტული (საერთაშორისო) სპეციალობით? **(5)**. 38. დიდი რუსი ჩინოვნიკი, რომელიც ჩვენს ისტორიაში ნამდვილად კარგი კაცის სახელით დარჩება **(5)**. 39. იხილეთ ფოტო და, რა თქმა უნდა, იცანით! **(1)**. 40. უმაღლესი არისტოკრატული საზოგადოება **(6)**.

**01-40 ქულა** - დამწყები კროსვორდისტი
**41-80 ქულა** - მეორეთანრიგოსანი
**81-120 ქულა** - პირველთანრიგოსანი
**121-160 ქულა** - ოსტატი
**161-190 ქულა** - დიდოსტატი
**191-199 ქულა** - ბრავო, მაესტრო!
**200 ქულა** - კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე*



**ბატონებო და ქალბატონებო!**

გვაინტერესებს თემატური კროსვორდები!
...სხვა სახის საკროსვორდო ქმნილებები, ბრეგაძეების პრასივით, საკმაოდ გაგვაჩნია.

*ფანტაზიის დიდოსტატები*

# ალფრედ ნობელი



*(დასაწყისი „ფანტაზია“ №1-ში)*

ალფრედის მამა, ემანუილ ნობელი, სტოკჰოლმიდან მევალეებს გამოექცა და რუსეთში დააპირა თავისი ბიზნესის გაგრძელება; ბორან „ევლე-ტურკუზე“ ემანუილი ერთ მყუდრო კაიუტაში იყო შეყუქული და ფანჯრიდან შიშით იმზირებოდა იმ დათოვლილი ქვეყნისაკენ, სადაც მას ცხოვრება მოუწევდა. შვედეთში კი დარჩა კარგად აწყობილი ბიზნესი, კაუჩუკის ქარხანა, მჭიდრო კავშირები და სანდო კომერსანტის რეპუტაცია... ყვლაფერში დამნაშავე აღმოჩნდა ცეცხლის პატარა ალი, რომელიც დიდ ხანძრად გადაიქცა და სტოკჰოლმის ერთ მყუდრო ქუჩაზე განლაგებული ნობელების სახლი ცეცხლში შთანთქა. დაიწვა ყველაფერი: ფული, ობლიგაციები, სხვა ფასიანი ქაღალდები თუ უამრავი პატენტები; ემანუილ ნობელი მეუღლესა და სამ ვაჟთან ერთად ქუჩაში დარჩა და იძულებული შეიქნა სასწრაფოდ გაეყიდა ყველაფერი. ასე რომ, მთელი ცხოვრების საქმე ერთ დღეში ფერფლად და ნაცრად იქცა. ოჯახის მამას შვედეთში სიკეთე აღარ დაადგებოდა მევალეებისაგან და ამიტომაც გადაწყვიტა ბედი პეტერბურგში ეცადა. ცოლ-შვილი მან სტოკჰოლმში დატოვა და დაპირდა მათ, რომ თავისთან ჩაიყვანდა, როგორც კი საქმესააწყობდა. ანრიეტამ, მისმა მეუღლემ, პატარა ფარდული გახსნა, რათა არსებობა შეენარჩუნებინა, ორი უფროსი ვაჟი, ლუდვიგი და რუდოლფი კი, ანდერსენის ზღაპრის გმირებივით, ქუჩაში ასანთიით ვაჭრობდნენ. უმცროსი ვაჟი, ალფრედი მაშინ ერთი წლისაც არ იყო...




გავიდა რამდენიმე წელი, ოჯახის მამამ ყველა ვალი გაისტუმრა, პეტერბურგის ცენტრში კარგი სახლი იყიდა და ამ ქალაქის ღირსეული მოქალაქე გახდა, რადგან მის მიერ შექმნილი გათბობის სისტემები და, რაც მთავარია, მთავარი გამოგონება - ლითონის კორპუსში მოთავსებული დენთი - მეტად გამოსადეგი აღმოჩნდა რუსეთისათვის და იმპერატორმა ნობელი-უფროსი სპეციალური ოქროს მედლითაც კი დააჯილდოვა. ერთი სიტყვით, საქმეები კარგად მიდიოდა (რა თქმა უნდა, ოჯახიც ჩაიყვანა პატერბურგში), უკვირდა კიდეც ასეთი ხანგრძლივი წარმატებები და მოსახდენი მაინც მოხდა:

(*როგორც გასული ნომრიდან ვიცით*) სატრფოს ღალატის გამო, რომელმაც ფრანგი დიპლომატი ანაცვლა ალფრედს, ამ უკანასკნელმა თავის მოკვლა დააპირა, იგი ძლივს გადაარჩინეს და მამას მთელი კვირის განმავლობაში შვილის სასთუმალთან მოუწია ჯდომა. ალფრედი გონს რომ მოვიდა, მამას ასეთი ბარათი დაუწერა:

„დღეიდან მე ამ საზარელ ბრბოსთან ვწყვეტ კავშირს და ვიწყებ იმ დიდი წიგნის შესწავლას, რასაც ბუნება ჰქვია, რათა ვიპოვო ჩემი ტკივილის განკურნების საშუალება“

„შენ გინდა ამ პარკეტის მუწუკს (ემანუილმა ის ფრანგი დიპლომატი იგულისხმა) დაუმტკიცო, რომ იგი შენს ფრჩხილადაც არ ღირს?“

ალფრედმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა - „მე გამომგონებლი უნდა გავხდე... ყველაზე ცნობილი! მე უნდა შევისწავლო ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება და... ანნა ინანებს, ინანებს, მაგრამ გვიან იქნება!“

შვილის გადარჩენით გახარებულმა მამამ მას საუკეთესო პროფესორები დაუქირავა ქიმიასა თუ ფიზიკაში და ალფრედი ისეთი გულმოდგინებით შეუდგა სწავლას, რომ მასწავლებლები გაოცებულნი იყვნენ. ალფრედმა მალე სტაჟირებებზე დაიწყო სიარული ევროპის საუკეთესო სპეციალისტებთან და მალე ცნობილი ქიმიკოსის სახელი დაიმკვიდრა. შვილის წარმატებები ყველაზე მეტად მამას ახარებდა და მან გადაწყვიტა მისთვის გადაეცა თავისი ცხოვრების მთავარი გამოგონება:

„დენთი ძვირია, მოუხერხებელია და ადვილად სველდება. ის, ვინც იპოვის მის შემცვლელს, საუკუნოდ გაითქვამს სახელს... უკვე არის რაღაც წინადადებები, ხომ არაფერი გსმენია ნიტროგლიცერინის შესახებ?“

ალფრედმს, რა თქმა უნდა, სმენოდა ეს. ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ: ვიღაცამ შემთხვევით გააცხელა გოგირდისა და აზოტის მჟავა და შედეგად აფეთქება მიიღო. შემდეგ ერთმა იტალიელმა შერეკილმა - ასკანიო სობრერომ - ამ ნარევს გლიცერინი ჩაუმატა და სახელად რატომღაც ნიტროგლიცერინი დაარქვა და ახლა თავადაც არ იცოდა, რისთვის გამოეყენებინა ეს ნივთიერება.

ღმერთო, რატომ უგზავნი ასეთ იდეებს იდიოტებს?! - სინანულით იტყოდა ხოლმე ალფრედი. დიახ, ეს სწორედ ის გახლავთ, რამაც დენთი უნდა შეცვალოს ასაფეთქებელ მოწყობილობაში; საჭიროა მხოლოდ მცირეოდენი ექსპერიმენტები, პროპორციების დადგენა და პრობლემა გადაწყვეტილია! იმ შერეკილმა იტალიელმა კი სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, ნიტროგლიცერინს გულით დაავადებულებს სთავაზობდა, როგორც უებარს წამალს.

* * *

გრუხუნმა არემარე შეაზანზარა და ცაში კვამლის სვეტი აღიმართა. „ეს ჩემი ახალი გამოგონებაა - ნობელის ნიტროგლიცერინი!“ - ამაყად განუცხდა ალფრედმა ძმებს.

ნობელის ნიტროგლიცერინზე მართლაც მთელი ქვეყნიერება ალაპარაკდა. ყველგან დაიწყო ფაბრიკების მშენებლობა ამ ახალი ნივთიერების საწარმოებლად; ალფრედი ცდილობდა უმოკლეს დროში მთელი მსოფლიო ბაზარი დაეპყრო; მან ფართო სარეკლამო კამპანია გაშალა პრესაში, დაიქირავა უამრავი ჩინოვნიკი, თუმცა არაფერს ამბობდა იმის შესახებ, რომ საქმე მთლად ბოლომდე მიყვანილი არ იყო და არც იმას ააშკარავებდა, რომ ნიტროგლიცერინი, რომელსაც კლდეების დაშლა შეეძლო, საკმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა და მისი ტრანსპორტირება მინის ჭურჭლით არაფრით არ შეიძლებოდა.

შედეგმაც არ დააყოვნა. 1864 წლის 3 სექტემბერს სტოკჰოლმში ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. ასი კილოგრამი ნიტროგლიცერინი, რომელიც ნობელების ფაბრიკიდან უნდა გაეგზავნათ, აფეთქდა და მთელი შენობა მტვრად აქცია, დაიღუპა ყველა თანამშრომელი... შვედეთის გაზეთები წერდნენ: „აფეთქების ადგილზე გვამების ნაცვლად ძვლების გროვა იქნაო ნაპოვნი“. თავად ალფრედს ორიდე ნაკაწრი ჰქონდა სხეულზე, მაგრამ მათს ოჯახს მაინც დიდი ტრაგედია დაატყდა თავს, აფეთქების დროს დაიღუპა არდადეგებზე ჩამოსული უმცროსი ვაჟი ემილი. ამ ამბავმა ემანუილ ნობელიც იმსხვერპლა, შვილის სიკვდილით შეძრწუნებულს დამბლა დაეცა და მეტყველების უნარი წაერთვა.

ამგვარი აფეთქებები სხვა ქვეყნებშიც მოხდა და ნიტროგლიცერინის წარმოება საერთოდ აიკრძალა. ალფრედი ამაოდ ცდილობდა საქმის გაგრძელებას, მაგრამ მისი სახელის გაგონება აღარავის სურდა. ასე რომ, იგი იძულებული შეიქნა ლაბირატორიაში ჩაკეტილიყო და ექსპერიმენტები გაეგრძელებინა. გარკვეული ხნის შემდეგ იშვა დინამიტი - მშრალი და ცეცხლგამძლე, უფრო სწორად ისეთი, რაც ფეთქდებოდა მხოლოდ გარკვეული პირობების შექმნის შედეგად.

ალფრედის საქმეები კვლავ კარგად წარიმართა და იგი პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. მან პრესტიჟულ უბანშ შეიძინა ბინა და მაღალი საზოგადოების წვეულებებზედაც კი დაიწყო სიარული. თუმცა, კაცმა რო თქვას ეს დაბალი ტანის, სულ უკმაყოფილო სახის მქონე კაცი, რომელსაც ძალზედ უკბილო ხუმრობები უყვარდა, დიდი წარმატებით არ სარგებლობადა ქალებში, სამაგიეროდ ექსტრავაგანტური შერეკილის რეპუტაცია დაიმსახურა. შერეკილის სახელი კი ნამდვილად ეკუთვნოდა მას, რადგან იმ პერიოდში უცნაური იდეები აწუხებდა – თუნდაც თვითმკვლელობის ინსტიტუტის შექმნა სულიერად დაავადებული ადამიანების უკანასკნელი წუთების შესამსუბუქებლად. ამ მდიდარ და „ავადმყოფური ფანტაზიის“ მქონე შვედს ყველა ერიდებოდა. თავად მას კი უცნაური კოშმარები დასჩემდა იმხანად და ამას ბიძგი მისცა იმ ამბის გამოაშკარავებამ, რომ თურმე რუსი მწერალი ნიკოლაი გოგოლი ცოცხლად დამარხეს მიწაში. ალფრედი შიშმა შეიპყრო, მას დაძინებ არ უნდოდა, რადგან სიზმარში საკუთარ თავს სულ ოთხ ფიცარში გამოკეტილს ნახულობდა. ამგვარ ყოფას მისი მარტოობა უფრო ამძაფრებდა და ექიმის რჩევით მან ასეთი განცხადება გამოაქვეყნა ვენის გაზეთ “Neue Freie Presse”-ში. საშუალო ასა–კის მამაკაცი ეძებს ინგლისური და ფრანგული ენების მცოდნე კომპანიონ ქალს“. ამგვარი განცხადებები მაშინ საყვარლის ძიებას ნიშნავდა, თუმცა ნობელი უფრო სულიერ მეგობარს ეძებდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი; მთავარი ის გახლდათ, რომ განცხადებას გამოეხმაურა ოცდაათი წლის გრაფინია ბერტა კინსკი; დაიწყო მიმოწერა და ერთი თვის შემდეგ ალფრედ ნობელმა მას ფული გაუგზავნა პარიზში ჩასასვლელად...




*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

**ნობელის გამოგონების ერთ-ერთი განშტოება**

**20 ხაზი 30 სვეტი**

Column clues (top to bottom), columns 1–30:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | 8 | 3 | 8 | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | 9 | 3 | 1 | 3 | 9 | | | | | | | 7 | 7 | | 9 | 9 | | | |
| | 3 | 5 | 3 | 7 | 9 | | | 12 | 10 | 9 | 3 | 3 | 1 | 3 | 3 | 9 | 9 | 10 | 10 | 7 | 7 | 3 | 5 | 7 | 5 | 3 | | | |
| 3 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 17 | 15 | 3 | 7 | 9 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 9 | 7 | 3 | 3 | 5 | 5 | 5 | 3 | 5 | 3 | 5 | 5 | 5 | 3 |

Row clues, rows 1–20:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 12 | 2 |
| | | | | | 23 |
| | | | | 1 | 23 |
| | | | | | 26 |
| | | | | | 26 |
| | | | | | 26 |
| | | | | 1 | 23 |
| | | | | | 23 |
| | | | 7 | 5 | 2 |
| | | | 4 | 3 | 3 |
| | | 3 | 7 | 2 | 3 |
| | | | | 13 | 5 |
| | | 3 | 3 | 3 | 5 |
| | | 7 | 3 | 3 | 5 |
| | 7 | 1 | 1 | 3 | 3 |
| 4 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 |
| | 5 | 3 | 3 | 5 | 5 |
| | | 6 | 9 | 5 | 5 |
| | | 5 | 7 | 5 | 5 |
| | | 4 | 3 | 3 | 3 |

**თარაზულად:** 1. რელიგიური დაჯგუფების წარმომადგენელი. 4. რამოდენიმე ზარბაზნის ერთდროული გასროლა. 7. მონარქის ერთ-ერთი რეგალია. 10. როგორი შეიძლება იყოს სითხე? 17. წყლისპირას მობინადრე ერთ-ერთი ძუძუმწოვართაგანი. 18. მაგიური დანიშნულების სიტყვა, რომელსაც, იყო დრო, ჯადოსნური თვისებები მიეწერებოდა. 19. სახელწოდება სურათისა, რომლის გატანასაც მოითხოვდა ბატონი ვასო... ტანკისტი ომამდე. 22. გარკვეული სახის მფარველობა. 23. დადგენილი ნორმა. 24. რა ჰქვია ჩარლზ დიკენსისეულ ტვისტს? 29. თურქეთში დარჩენილი ჩვენი ისტორიული ძეგლი. 30. რამოდენიმე ბანკის გაერთიანება. 31. XIX საუკუნეში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში ოპორტუ-ნისტული მიმდინარეობა. 32. რაიმე სავაჭრო ფართის „სავიზიტო ბარათი“. 36. გონება-ჩლუნგის ერთ-ერთი სინონიმი. 37. ნახშირწყალბადი, რომელიც ფართოდ გამოიყენება პლასტმასების და სინთეზური კაუჩუკის წარმოებაში. 38. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი რელიგიური პროპაგანდის მისაღწევად. 43. თავის კანი თმებიანად, ანუ ინდიელთა ზოგიერთი ტომის ძირითადი ნადავლი. 44. რაიმე პირობის დათქმული დრო. 45. ძველი სახლის ნაშთი, ანუ... 46. ფრინველის საომარი „იარაღი“. 50. საქონლის ხორცის ნეკნებშუა ნაჭერი. 51. ის, რაც გააჩნია ყოველ მთას, ან მთაგრეხილს. 52. ზუსტი მიმბაძავი. 57. თვალის ღრმული. 58. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. 59. „შიგან ასრე გავერიე-ო...“ - გვიამბობს ტარიელი... რომელი ფრინველი გაგახსენდათ? 60. ხალხთა გადასახლება ქვეყნის შიგნით ან მის გარეთ. 64. როგორი ეწოდება ფიზიკაში ველს, რომელიც მხოლოდ რადიუსზეა დამოკიდებული? 65. დიდი, მდიდრული ბინა. 66. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე. 70. წყვდიადის და უკუნეთის სხვა, ერთგვარად პოეტური სინონიმი. 71. თენგიზ აბულაძის გახმაურებული კინოფილმი. 72. ყველაზე წყალუხვი მდინარე მთელ მსოფლიოში. 76. საბჭოთა ფიზიკოსი და თეორიტიკოსი, 1962 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი, ლევ დავიდოვიჩ... 77. კორნეი ჩუკოვსკის ნაწარმოები. 78. XX საუკუნის ირლანდიელი მწერალი, ავტორი რომანისა „ულისე“. 79. რა არის გარკვეულ ფართობზე პერპენდიკულარულად მოქმედი ძალის ფარდობა ამ ფართობის სიდიდეზე ფიზიკაში? 84. მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ. 85. ალპური ყვავილი. 86. საზღვაო ბრძოლის ხერხი. 90. ბანში შუაცეცხლის თავზე ამოჭრილი ადგილი. 91. პონტოს სახელოვანი მეფე. 92. რა ერქვა ქართველ მწერალ ქალს, „მაგდანას ლურჯას“ ავტორს? 93. ფრანგი მწერალი, ავტორი რომანისა „ტარტარენ ტარასკონელი“. 97. შორ მანძილზე გარკვეული ინფორმაციის (ვითომ?!) გადამცემი პირი? 98. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი. 99. მათემატიკის ნაწილი, რომელიც ყველას უსწავლია სკოლაში. 102. პირი, რომელიც ცდილობს გააძლიეროს ეკლესიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 103. პიტნის გემოს მქონე კრისტალური ნივთიერება. 104. რა სასულიერო წოდება ჰქონდა გრაფი მონტეკრისტოს თანამესაკნე ფარიას? 109. რა ერქვა ხრუშჩოვს? 110. ერთი დანიშნულების საგნების სრული კომპლექტი. 111. მეომარი სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ მის ტერიტორიაზე მცხოვრები მტრული სახელმწიფოს მოქალაქის დაკავება. 115. ფიდელ კასტროს მშობლიური კუნძული. 116. ჟან რენოს მიერ განსახიერებული მკვლელის სახელი ლუკ ბესონის ცნობილ ფილმში. 117. საქონლის ფარული გადატანა სახელმწიფოს საზღვრებზე. 118. გველიც, კამკამა წყალიც და ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს დედაქალაქიც. 122. ინგლისელების აზრით, ეს ფრინველი თურქული წარმოშობისაა, ჩვენ კი მას სხვა აზიურ ქვეყანას ვუკავშირებთ... გაიხსენეთ ეს ფრინველი. 123. ქალაქის მუნიციპალიტეტი. 124. არომატი, ანუ რა? 125. უსიტყვო მსახიობი. 130. სამხედრო უწყების მოხელე ძველ საქართველოში. 131. სომხური წარმოშობის ამერიკელი ჩოგბურთელი მამაკაცი. 132. ძველი რომის იმპერატორების ტიტული. 137. ალვის ხის მეორე სახელი. 138. სივრცე, სადაც მზადდება საომარი ოპერაცია. 139. სადურგლო-სამშენებლო საქმეში გამოყენებადი სწორკუთხა სახაზავი. 140. თუთიყუშის ჯიში. 141. ქართლის მეფე წმინდა ნინოს დროს. 142. ექსპერიმენტული კვლევისათვის განკუთვნილი ფართი. 143. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილი.



**შვეულად:** 1. პირის ღრუს შემადგენელი ნაწილი. 2. ტემპერამენტის ერთ-ერთი ტიპის წარმომადგენელი ადამიანი. 3. შხამიანი გველი. 5. ჩახურებული ფქვილი. 6. მსხვილი კაპიტალისტური სამიწათმოქმედო მეურნეობის პატრონი. 8. სვლათა ერთ-ერთი შესაძლო კომბინაცია მოცემული მდგომარეობისათვის ჭადრაკში. 9. არის ასეთი სიტყვა – ჰეკატომბე.. ამ სიტყვაში ჰეკატე ძვ. ბერძნულად ასს ნიშნავს, აქ გაიხსენეთ შინაური ცხოველი, რომლის სახელიც ძველ ბერძნულად ნიშნავდა – „ბუს“-ს. 11. მდინარე საქართველოში. 12. პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობა. 13. ნარნარი ფრენაც და დიდი ზომის ფრინველიც. 14. ქამრის ლითონის ენიანი შესაკრავი. 15. ბულგარეთის შავიზღვისპირა კურორტი. 16. ინგლისური კულტურის დიდი მოყვარული. 20. პასიურის ანტონიმი. 21. გადაგვარებული და დაპატარავებული, ანუ? 25. პატარა სასიმღერო ლირიული ლექსი. 26. ორგანული ნაერთი, ცილების ლპობის პროდუქტი. 27. მოხეტიალე მლოცველს აღმოსავლურ სამყაროში დერვიში ერქვა.. რა ერქვა ქრისტიანულ სამყაროში? 28. ბიძია-ბაბუას, იგივე ქრისტეფორე მგალობლიშვილის, სატრფო. 33. საფეხბურთო ამპლუა. 34. თემის მეთაური და მოსამართლე ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში. 35. ღატაკთა წოდების წარმომადგენელი მოქალაქე ძველ რომში. 39. აპოლონისა და ცხრა მუზის საცხოვრებელი მთა ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. 40. ქალაქი რუსეთში, კემეროვოს ოლქში, მდინარე კონდომაზე. 41. ვინ იყვნენ XIX საუკუნეში იტალიის გაერთიანებისათვის მებრძოლი ფარული რევოლუციური ორგანიზაციის წევრები? 42. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი. 47. შემინული ყუთი თევზებისათვუს. 48. პირველი ზოდიაქალური თანავარსკვლავედი. 49. წარმოდგენა, სადაც მსახიობი თანდათან შიშვლდება. 53. მეფის ვაჟი. 54. ფედერიკო ფელინის ფილმი. 55. მთიანი მხარე რუსეთის ტერიტორიაზე. 56. სადაური იყო თითოეული მათგანი, ვინც ტროელებს ხის ცხენი აჩუქეს? 61. ვინ არის გოეთე პოეზიასთან მიმართებაში? (როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ). 62. როგორია ყოველი, ცდისმიღმა არსებული ცოდნა? 63. სპეციალური ჭურჭელი, რომელიც იცავს მასში მოთავსებულ პროდუქტს გაცივების ან გათბობისაგან. 67. როგორია ის მოდა, რომლის ასამბლეებიც ხშირად ჩატარებულა თბილისში? 68. თავისუფალ სკამის მაძიებლებთან დაკავშირებული გარკვეული უფლება. 69. ხუროთმოძღვრული ძეგლი საქართველოს სამხედრო გზაზე. 73. რა დადიოდა თელების ქუჩაზე უეს კრეივენის გახმაურებულ საშინელებათა ფილმში? 74. ბიუსტჰალტერის ერთ-ერთი წინაპართაგანი. 75. ქალაქი ყირიმის ნახევარკუნძულზე. 80. შეზღუდული გონებისა და ფარისევლური ქცევის ადამიანი. 81. ევროპის ერთ-ერთი ნახევარკუნძულის სახელი. 82. თბილისის ძველი უბანი. 83. რაიმეს ზედაპირულად მცოდნე. 87. ხუთსაფეხურიან გამაზე დაფუძნებული მუსიკალური სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩინურ და შოტლანდიურ ხალხურ მუსიკას. 88. ჰიგიენური მიზნებისათვის განკუთვნილი „წყალი“. 89. ქალაქი ბოლივიაში. 94. ოფიცრის საპარადო სამხრე. 95. დედამიწაზე ჩამოვარდნილი კოსმოსური წარმოშობის სხეული. 96. კარგად მოწყობილი სასადილო. 100. ივან ფრანკოს სამშობლო. 101. ქალაქი აშშ-ში, პენსილვანიის შტატში. 105. იაპონური დეკორატიული ხელოვნება. 106. რაიმე უნარის დაჩლუნგება და დაკარგვა. 107. ვის სახელს ატარებს ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა? (ვის?) 108. ზღვის ნაპირების ნგრევის პროცესი. 112. იგივე უკუსვლა. 113. ფიგურებისა და საგნების გამოსახვა პერსპექტივაში. 114. შავიზღვისპირეთის „შეუხედავი“ კურორტი საქართველოში. 119. გია დანელიას ერთ-ერთი ფილმთაგანი. 120. ჯირკვლების მიერ ორგანიზმისათვის აუცილებელი ნივთიერებების გამომუშავება. 121. სოფელი ხარაგაულის რაიონში. 126. ძველი თბილისელი საქმოსანი. 127. როგორია გულმართალი კაცი? 128. უსქესობა, ანუ? 129. ბრომი-ქლორი-იოდი, ანუ? 133. მდინარე ინდოეთსა და პაკისტანში. 134. რა ჰქვია დენი დიდროსეულ ძმისწულს ფრანგულ ლიტერატურაში? 135. **იხილეთ ფოტო** - ეს პატარა გოგონა შემდგომში დიდი მსახიობი გახდა; რა ჰქვია მას? 136. დისნეისეული მულტპერსონაჟი დათვი.



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბარცაკალი** - ხის საწოლის ნაწილი.

**ბარცისი** რაჟდენ - საბჭოთა კავშირის გმირი, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილე.

**ბარცხანა** - მდინარე ხელვაჩაურის რ

**ბარძაყი** - ადამიანის ფეხის ნაწილი.

**ბარძიმი** - მაღალფეხიანი რელიგიური დანიშნულების სასმისი.

**ბარხანი** - უდაბნოს კონტინენტური დიუნი.

**ბარხუდარიანი** სერგეი - XX ს საქართველოში მოღვაწე სომეხი კომპოზიტორი.

**ბარჯაში** - სოფელი მესტიის რ.

**ბარჯი** - ორკაპიანი ჯოხი.

**ბარჯისხევი** - რკინიგზის ასაქცევი მელაანგურჯაანის გადასარბენზე.

**ბარჰებრაია** გრიგოლიოანე - XIII ს სირიელი სწავლული და მწერალი.

**ბარჰოუტი** - ხის გემის გარეთა სამოსის გამსხვილებული სარტყელი.

**ბასა** - უღელტეხილი კავკასიონის სამხრ. შტოზე.

**ბასა** - ფეხბურთელ ავთანდილ ღოღობერიძის მეტსახელი.

**ბასავანი** - XVI-XVII სს მოგოლური სკოლის ინდოელი მინიატურისტი.

**ბასალიკონი** - ენამჭევრი, რიტორი (საბა).

**ბასანო** ჯაკოპო - XVI ს იტალიელი ფერმწერი.

**ბასარა** - ძველბერძენთა გრძელი სამოსი

**ბასარაბესკუ** იონ - XX ს რუმინელი მწერალი.

**ბასეინი** - ქალაქი პორტი მიანმაში (ბირმაში).

**ბასი** - მამაკაცის ყველაზე დაბალი სასიმღერო ხმა.

**ბასიანი** - პროვინციაისტ. სამხრ. საქართველოში. 1203 წ დიდი ბრძოლის ადგილი.

**ბასილა** - საახალწლოდ გამომცხვარი პური.

**ბასილევსი** - ძვ.საბერძნეთში, მიკენეს ეპოქაში მცირე დასახლების მმართველი.

**ბასილეთი** - სოფელი ჩოხატაურის რ

**ბასილეია** - ზევსის ქალიშვილი, მისი ელვის მცველი.

**ბასილი** - ქართველთა ნახევრად წარმართული ღვთაება.

**ბასილი** - XI ს ქართველი კალიგრაფი.

**ბასილი** - XIV ს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

**ბასილი** - ბიზანტიელ იმპერატორთა სახელი.

**ბასილი** ზარზმელი - IX-X ს ქართველი მწერალი და საეკლესიო მოღვაწე.

**ბასილი** საბაწმიდელი - VIII-IX სს ქართველი მწერალი, ჰიმნოგრაფი.

**ბასილი** ხანძთელი - IX ს ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი.

**ბასილიკები** - ბერძნ.-რომაული სამართლ. სისტემურად დალაგებული კრებული, შედგენილი IX საუკუნეში.

**ბასილიკუსი** - ქვეწარმავალთა გვარი იგუანების ოჯახისა.

**ბასილისკო** - 1. ტროპიკ. ამერიკაში გავრცელებული ხვლიკი. 2. ზღაპრული ურჩხული, რომელიც შეხედვითა და სუნთქვით კლავს ყველას.

**ბასის** სრუტე - სრუტე ავსტრალიასა და კტასმანიას შორის.

**ბასისტი** ნიკოლოზ - სსრკ ადმირალი, სამოქალაქო ომის მონაწილე.

**ბასკაკი** - მონღოლ ყაენთა მოხელე, რომელიც განაგებდა დაპყრობილ ქვეყანას.

**ბასკები** - ესპანეთსა და საფრანგეთში მცხოვრები ხალხი.

**ბასკინტელა** - მდინარე ყვარლის რ

**ბასკოლოგია** - ბასკების ენისა და კულტურის შემსწავლ. მეცნიერება.

**ბასკონია** - ბასკების ქვეყანა.

**ბასკუნჩაკი** - მლაშე ტბა რუსეთის ასრახანის ოლქში.

**ბასმა** - თმის საღებავი.

**ბასმაჩობა** - შეიარაღებული ანტიკომუნისტური გამოსვლები შუა აზიაში.

**ბასო** ლელიო - იტალიის მუშათა მოძრაობის მოღვაწე.

**ბასოგა** - უგანდაში მცხოვრები ხალხი.

**ბასოვი** ნიკოლოზ - რუსი ფიზიკოსი, კვანტური რადიოფიზიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**ბასო ოსტინატო** - ერთ-ერთი სავარიაციო ფორმა მუსიკაში.

**ბასრა** - ქალაქი ერაყის სამხრეთ ნაწილში.

**ბასრი** - მეტად მჭრელი.

**ბასრობა** - ძვ. ქართული სატირული სამსახიობო ჟანრი.

**ბასტარდი** - შორეული ჰიბრიდი.

**ბასტერი** - სენტ-კრიტოფერის და ნევისის დედაქალაქი.

**ბას-ტერი** - ქალაქი-პორტი, გვადელუპის ადმ. ცენტრი.

**ბასტია** ფრედერიკ - XIX ფრანგი ეკონომისტი.

**ბასტია** - საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

**ბასტიანი** ადოლფ - XIX-XX სს გერმან. ეთნოგრაფი.

**ბასტიბუბუ** - დიდი ხმაურობა.

**ბასტიდი** სიუზან - XX ს ფრანგი იურისტი ქალი.

**ბასტიენ-ლეპაჟი** - XIX ს ფრანგი ფერმწერი.

**ბასტილია** - ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში.

**ბასტიონი** - ციხესიმაგრის გალავნის კუთხეებში დატანებული ხუთწახნაგა ნაგებობა.

**ბასტონადა** - ზოგ აღმ. ქვეყანაში ადამიანის დასჯა ჯოხის ცემით.

**ბასტრი** - ყვითელი ფერის შაქრის ფხვნილი.

**ბასტუნჯი** - ტოპონიმი ლერმონტოვის პოემიდან „აული ბასტუნჯი“.

**ბასტურმა** - სამწვადე ხორცი.

**ბასუტო** - ლესოთოსა და ბოტსვანაში მცხოვრები ხალხი.

**ბასუტოლენდი** - ლესოთოს (აფრიკა) ძველი სახელი.

**ბატა** - რიო-მუნის (ეკვატორული გვინეის მთავარი ქალაქი.

**ბატა** - ფეხსაცმლის მაღაზიათა ქსელის სახელი.

**ბატავია** - ჯაკარტის (ინდონეზია) ძველი სახელი.

**ბატაისკი** - ქალაქი რუსეთის როსტოვის ოლქში.

**ბატაკები** - ინდონეზიაში, კ. სუმატრაზე მცხოვრები ხალხი.

**ბატალია** - ბრძოლა.

**ბატალია** რობერტო - XX ს იტალ. ისტორიკოსი და პუბლიცისტი.

**ბატალია** - პირენეს ნახ.კ-ის უდიდესი მონასტერი პორტუგალიაში.

**ბატალიონი** - პოლკის, ბრიგადის უმაღლესი ტაქტიკური ქვეგანაყოფი.

**ბატალიორი** - ფლოტში: უმცროსი მეთაური, რომელსაც სურსათით მომარაგება ავალია.

**ბატალისტი** - ბატალური ფერწერის სპეციალისტი მხატვარი.

**ბატალოვი** ალექსი - რუსი კინომსახიობი.

**ბატალური** ჟანრი - სახვითი ხელოვნების ჟანრი, ასახავს ომსა და სამხედრო ცხოვრებას.

**ბატამბანგი** - ქალაქი კამბოჯაში.

**ბატანაგარი** - ქალაქი ინდოეთში (დას. ბენგალიის შტატი).

**ბატანგასი** - ქალაქი-პორტი ფილიპინებზე.

**ბატარეა** - ძირითადი საცეცხლე საარტილერიო ქვეგანაყოფი.

**ბატარეა** - ერთი ტიპის ხელსაწყოების, აპარატების, მოწყობილობების გაერთიანებით მიღებული სისტემა.

**ბატასინი** - ფრინველების გვარი ბატისნაირთა რიგისა.

**ბატატი** - ტკბილი კარტოფილი.

**ბატატურა** - ცხენი, რომელსაც უკანა ფეხები გაფარჩხული აქვს.

**ბატები** - იხვისებრთა ოჯახის ფრინველები ბატისნაირთა რიგისა.

**ბატეთის** ტბა - ტბა ქარელის რ

**ბატეკე** - ზაირსა და კონგოში მცხოვრები ხალხი.

**ბატენბერგი** ალექსანდრე - ბულგარეთის მთავარი XIX ს ბოლოს.

**ბატენკოვი** გაბრიელ - რუსი დეკაბრისტი, 1812 წ ომის მონაწილე.

**ბატერფლაი** - სპორტული ცურვის პეპელასებრი სტილი.

**ბატვა** - რუანდასა და ზაირში მცხოვრები პიგმეების ტომი.

**ბატი** - ფულის ერთეული ტაილანდში.

**ბატიბუტი** - მოხალული წვნიკი სიმინდი.

**ბატიკალოა** - ქალაქი-პორტი შრი ლანკაში.

**ბატიკი** - ქსოვილის მოხატვის ტექნიკა ერთგვარი, ამ წესით მოხატული ჭრელი ქსოვილი.

**ბატილა** - იგივე ბატიბუტი.

**ბატისტი** - თხელი, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილი.

**ბატისტინი** მატია - XIX-XX ს იტალიელი მომღერალი (ბარიტონი).

**ბატიური** - სოფელი ქარელის რ.

**ბატიუშკოვი** კონსტანტინ - XIX ს რუსი პოეტი.

(948, სულ 5270)

# იაპონური ნახატები

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 3 | 3 | | 1 | | | | | | | | | | | | 12 | 11 | | | | | | | |
| | | | | 3 | | 3 | 1 | 1 | | 3 | 1 | | | | | 1 | 1 | | | 1 | | 2 | 1 | | | | | | | |
| | | | | 2 | 3 | 6 | 5 | 5 | 11 | 2 | 4 | 1 | | | 1 | 4 | 4 | 1 | 1 | 1 | 18 | 3 | 2 | | | | | | | |
| | | | 10 | 2 | 4 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 3 | 2 | 1 | 15 | 4 | 5 | 16 | 22 | 16 | 1 | 1 | 1 | 10 | 9 | 7 | 6 | 5 | 2 | |
| 3 | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 4 | 6 | 7 | 9 | 9 | 11 | 17 | 20 | 19 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 5 | 4 | 2 | 3 | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 8 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 3 |
| | | | 5 |
| | | | 7 |
| | 1 | 4 | 8 |
| 1 | 2 | 3 | 2 |
| | 1 | 2 | 5 |
| 3 | 2 | 1 | 5 |
| 4 | 1 | 2 | 8 |
| 4 | 1 | 2 | 9 |
| | 4 | 8 | 11 |
| 2 | 5 | 2 | 11 |
| | | 10 | 12 |
| | | 8 | 17 |
| 1 | 3 | 17 | 1 |
| | 2 | 14 | 1 |
| | 2 | 12 | 1 |
| 1 | 5 | 4 | 1 |
| 1 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 11 | 1 |
| | 4 | 11 | 1 |
| | 3 | 14 | 2 |
| | 2 | 17 | 1 |
| 12 | 4 | 2 | 2 |
| 11 | 2 | 1 | 1 |
| 11 | 3 | 1 | 2 |
| 10 | 3 | 1 | 3 |
| | 9 | 4 | 3 |
| | | 7 | 7 |
| | | 6 | 5 |
| | | 4 | 3 |
| | | | 8 |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | | | | | | | | | 9 | 10 | | | | | | | | | | 9 | 7 | 8 | 11 | 15 | 15 | | | | |
| 3 | 5 | 3 | 8 | 9 | 11 | 8 | 7 | 8 | 12 | 13 | 2 | 2 | 10 | 11 | 12 | 14 | 15 | 16 | 16 | 17 | 17 | 7 | 11 | 11 | 10 | 2 | 1 | 13 | 6 | 4 | 2 |

| | | |
|---|---|---|
| | | 3 |
| | | 3 |
| | | 3 |
| | 5 | 7 |
| 2 | 4 | 11 |
| | | 22 |
| | | 24 |
| | | 24 |
| | | 22 |
| | | 21 |
| | | 22 |
| | | 21 |
| | | 19 |
| 2 | 9 | 4 |
| 2 | 8 | 4 |
| 4 | 6 | 3 |
| 4 | 6 | 3 |
| | 6 | 4 |
| | 5 | 4 |
| | 4 | 3 |
| | 4 | 3 |
| | 4 | 3 |
| | | 7 |
| | | 7 |
| | | 6 |
| | 3 | 2 |
| | 3 | 3 |
| | 3 | 3 |
| | 3 | 3 |
| | 3 | 3 |
| | 4 | 3 |
| | 4 | 3 |

დაინტერესებულ მკითხველებს ვაცნობებთ, რომ ჩვენი რუბრიკები „ფანტ-აზიორი“და „ალო, ფანტაზია“ თებერვლის მეორე ნახევრიდან განახლდება; გათვალისწინებული გვაქვს ამ ორი რუბრიკის ერთგვარი გაერთიანება, რაც საკონკურსო კითხვების არა მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას გულისხმობს, არამედ ტურნირის წარმართვის თვისობრივ ცვლილებებსაც. ამასთანავე შეგახსენებთ, რომ მათ, ვისაც გასულ ტურნირში მოგებული თანხა არ მიუღიათ, შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ ნებისმიერ დროს.



**თარაზულად**: 1. თავის ქრონიკული ტკივილი. 4. სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით გაგზავნილი პირი. 7. ვალის გადახდის უნარმოკლებული, ვალაუვალი, გაკოტრებული პირი. 14. სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რომელიმე ცალკეულ დარგს. 15. XI საუკუნით დათარიღებული კათედრალური ტაძარი საქართველოში. 17. ბერძნულ მითოლოგიაში ზევსის მამა და ურანოსის შვილი. 18. შუამავალი გარიგების დროს. 19. ესეც ჩვევაა, ოღონდ ავადმყოფური. 24. ძველ სლავურ ქვეყნებში სახელმწიფო კრება, ხელისუფლების ორგანო სხვადასხვა ქალაქში. 25. მსგავსი რამ. 26. გადამღები დაავადების მუდმივი არსებობა რომელიმე მხარეში. 30. მიხაილ პუგოვკინის მიერ განსახიერებული კინორეჟისორი ფილმში „ივანე ვასილის ძე პროფესიას იცვლის“. 31. საუბრის ფორმა, აგრეთვე ძველ საბერძნეთში სწავლების ფორმა, რომელიც დაფუძნებული იყო სწორედ მასზე. 32. ქალაქი იტალიაში. 35. ხანში შესული, ანუ? 36. არსებობს ქართული გაზეთი, რომლის სათაურიც ორი ურთიერთსაპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებს შეიცავს. აქ ჩაწერეთ ერთ-ერთი მათგანი. 37. იაპონური ელექტროსაქონლის მწარმოებელი ფირმა. 41. ეგვიპტური მითოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება. 42. ამ სიტყვით მოიხსენიებენ ზოგიერთ თვითმფრინავს. 43. ერთგვარი წვრილი (შავი) ფული ძველად. 48. მულტპერსონაჟი, რომელიც მოსვენებას არ აძლევს ჰენქსის და კრუზის სეხნიას. 49. საზოგადოებრივი საპირფარეშოების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. 50. სიცილის სახესხვაობა. 54. შუა საუკუნეებში ევროპის გზებზე მოსიარულე შავ ტანსაცმელში გამოწყობილ ბერი, რომელიც მისიონერული თუ სხვა საქმიანობით იყო დაკავებული. 55. ლენინზე უშედეგო თავდასხმის ორგანიზატორი. 56. წყლის რეზერვუარი. 60. ყაზახურად ამ ქალაქის სახელწოდება „დედაქალაქს“ ნიშნავს. 61. გალილეო გალილეის მიერ ფიზიკაში შეტანილი მექანიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება. 62. ძირითადი ანუ? 66. არსება, რისი სისხლითაც შეაღებინა მოსემ ებრაელთა სახლები ეგვიპტეში,რამაც საფუძველი დაუდო ებრაულ დღესასწაულს - პასექს. 67. მუდამ საჭმლისა თუ ტკბილეულის მძებნელი. 68. ბრაზილიური საფეხბურთო კლუბი. 72. სენატის ხელმძღვანელი აშშ-ში ბილ კლინტონის დროს, რაც თავის მხრივ იმასაც ნიშნავს, რომ იგი ვიცე-პრეზიდენტიც უნდა ყოფილიყო. 73. ქართული ბაზარი სავსეა ქათმის ამ ნაწილით. 74. რა ჰქვია სინამდვილეში მიქელანჯელოს „დავითის“ ქანდაკებას? 78. საბჭოთა პერიოდის ცნობილი სომეხი კინორეჟისორი. 79. ამ არაევროპული ერის ევროპელი წარმომადგენელი ქალის შესახებ მრავალი ლიტ. თუ მუს. ნაწარმოებია შექმნილი... ვინ იგულისხმება? 80. ის, რასაც ინგლისელი უწოდებს ჩვევას დილით საუზმემდე გაისეირნოს ლონდონის ქუჩებში. 84. 70-იანი წწ. ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი. 85. სწორედ ასეთი ტიპის სახელმწიფო ჩამოაყალიბა შამილმა მე-19 საუკუნეში. 86. „თვალისაგან“ დასაცავი საშუალება. 89. სწორედ ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ როიალისტები ნაპოლეონ ბონაპარტეს, მიანიშნებდნენ რა მის არაფრანგულ წარმოშობას. 90. ეს ფრანგი მწერალი გამოირჩეოდა ცხოვრებით, რომელიც გაჯერებული იყო თამბაქოსა და ყავის უსაზღვრო დოზებითა და უძილო ღამეებით. 94. ის, რისი სიმბოლოცაა მონეტაზე გამოსახული რიცხვი. 95. რა არის თავისი არსით ქვიშით სავსე ტომრები ერთ-ერთ საფრენ აპარატზე. 96. სასის ნუშისებრი ჯირკვალი. 97. ებრაელთა დაბრუნება ისრაელში. 98. სტამბოლის უბანიც და საფეხბურთო კლუბიც. 99. შურისძიების ქალღმერთი ინდუიზმში.

**შვეულად**: 1. თვითმფრინავის ნაწილი. 2. შუა საუკუნეების ევროპაში ასე უწოდებდნენ პირს, რომელიც ძალით ამახინჯებდა ბავშვს, რათა შემდგომში ჯამბაზად გაეყიდა და სწორედ ასეთი ხალხი ჰყავს ჰიუგოს აღწერილი თავის რომანში „კაცი, რომელიც იცინის“ 3. დიდი ხეობა. 5. ჯეიმზ ბონდის როლის ერთ-ერთი შემსრულებელი. 6. დიდი ფრანგი კომპოზიტორი, რომელმაც მდინარე რაინის პირას განლაგებული ქარხნის დათვალიერების შემდეგ დაწერა ოპერა, რომელშიც ქარხანაში მოსმენილი ინდუსტრიული ხმები გამოიყენა. 8. მოუსვენარი, ანუ როგორი? 9. გამოქვაბული საფრანგეთში, რომელშიც პირველად იქნა აღმოჩენილი გვიანი პალეოლითის ეპოქის ადამიანის ჩონჩხი, შემდგომში ამ ადამიანს სახელწოდება სწორედ ამ გამოქვაბულმა მისცა. 10. შექსპირისეული პერსონაჟი. 11. რუმინელი ფეხბურთელი. 12. ქალაქი ესპანეთში. 13. ორგანული ნივთიერება, რომელიც შედის ყველა ცხიმისა და ზეთის შემადგენლობაში. 16. სახაზავი ინსტრუმენტი. 20. ბერძული მითოლოგიის პერსონაჟი, რომლის თავლებიც გაწმინდა ჰერაკლემ. 21. ინგლისის კულტურული სახელწოდება. 22. ერთ-ერთი დასავლელ ქართველი. 23. შუა საუკუნეების ესპანელი მხატვარი. 27. იშვიათი და ძვირფასი ნივთი. 28. სახელი, რომლითაც ჩვენში დიდ პოეტს მოიხსენიებენ. 29. ერთ-ერთი საბრძოლო ხომალდი. 33. რისკიანი და თავზეხელაღებული წამოწყება. 34. მეფეების პირადი დაცვის ჯარისკაცი ევრპოპაში. 38. ამერიკული მუსიკალური ინსტრუმენტი. 39. პეტრარკას სატრფო. 40. ამ ტკბილეულის მწარმოებელი ფირმის სახელწოდებას არანაირი კავშირი არ აქვს არც ციურ სხეულთან და, არც რომაული მითოლოგიის პერსონაჟთან, სამაგიეროდ ემთხვევა იმ ძმების გვარს, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ეს ფირმა. 44. ხელოვანი - ზოგადად. 45. რა შეიძლება ითქვას მასზე, ვისი „გზაც გულისკენ კუჭის გავლით გადის“. 46. სრული სიბნელე. 47. აფხაზური ანბანის შემქმნელი. 51. სკაუტის ანალოგი საბჭოთა კავშირში. 52. ვერონიკა კასტროს მიერ შესრულებული როლი. 53. ცნება, რომელიც წარმოიშვა ლათინური ფრაზის „... რომელთა დასწრებაც საკმარისია“ პირველი სიტყვიდან. 57. ხანში შესული ანუ? 58. ელექტროობაში: სპილენძის მავთულის კოჭა, რომელსაც ახასიათებს დიდი ინდუქციური წინააღმდეგობა. 59. ძველი რომის სრულუფლებიანი მოქალაქე. 63. ლარისა ივანოვნას სამოღვაწეო სფერო. 64. ის, რაც გვაიძულებს თეფშიდან ხორცის საუკეთესო ნაჭერი ჩვენთვის გადმოვიღოთ. 65. როგორი რელიგიაა სომხური, გრიგორიანული? 69. როგორც ცნობილია, პირველი ოპერა იყო „დაფნა“, თუმცა როგორი იყო ის არავინ იცის; ის პირველი ოპერა კი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია არის „... და ევრიდიკე“. 70. ერთ-ერთი საზოგადოებრივი მეცნიერება. 71. ქართული ანბანის შემქმნელი. 75. სიტყვა, რომელიც უნდა შევადგინოთ ბოთლის თავსახურავებით. 76. ბანქოს გავრცელებული სახელწოდება. 77. სასულე ინსტრუმენტი. 81. ბულგარული წვრილი ფული. 82. ლითონისა და ვერცხლის წყლის ნაერთი. 83. შიშს თან სდევს. 87. ფილმი სანდრა ბალოკის მონაწილეობით. 88. საჭადრაკო შერკინება. 91. დანიის ადმინისტრაციული ერთეული. 92. ფიზიკაში იგი განიმარტება, როგორც „სხეულის ინერტულობის ზომა“. 93. ჩაპაევის შესახებ არსებული ანეკდოტების პერსონაჟი.



# მარჩელო მასტროიანი

## მსოფლიო კინოს 50 ლეგენდა

### გამოშვება №4, ნაწილი 1

**MARCELLO MASTROIANNI**

**დაიბადა 28.09.1923 იტალიის ქალაქ ფონტანა-ლირიში**
**გარდაიცვალა 19.12.1996. პარიზში**

დიდი მარჩელო, ერთ პატარა ქალაქში კი არა, დიდ სოფელში დაიბადა, მშობლები ჩვეულებრივი გლეხები ჰყავდა... (*წარმოგიდგენიათ?!*)

ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში მოხვდა და საკონცენტრაციო ბანაკშიც ამოყო თავი; მადლობა ღმერთს, რომ გადაურჩა იქაურობას, ვენეციამდე ჩაღწევა მოახერხა და ომის დამთავრებამდე ერთი ქალბატონის ბინაში იმალებოდა...

პირველ ფილმში 1947 წელს გადაიღეს;

1950 წლისათვის უკვე 20-მდე ფილმში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული (*საერთოდ კი 100-ზე მეტია ფილმია მის ანგარიშზე*) და, მსოფლიო თუ არა, ევროპა მაინც იცნობდა მას.

1950 წელს ცოლად შეირთო ვინმე ფლორა კარაბელლა და მასთან თითქმის 20-წლიანი სამეუღლეო პრაქტიკა გაიარა, რომლის განმავლობაშიც ქალიშვილის ყოლაც მოახერხა.

**ყველაფერი 20 წლის შემდეგ დაიწყო ...პარიზში**

„ფლორა, ფლორა, მან მე უარი მითხრა“ - ჩასძახოდა ყურმილს გამწარებული მარჩელო - მე სიკვდილის მეტი არაფერი მინდა!“

კანონიერი ცოლი კი (ვინმე ფლორა კარაბელა), რომელმაც მარჩელოს ნება დართო პარიზში წასულიყო და მისი საოცნებო ქალისათვის სიყვარული აეხსნა, მშვიდი ტონით ურჩევდა ქმარს, სატელეფონო საუბრების ვალი დაეფარა და რომში დაბრუნებულიყო.

იმავე საღმოს მარჩელო, ნაწანწალები ძაღლივით ბუხართან იყო მიმჯდარი და ცოლის საყვედურებს ისმენდა; ფლორამ იმიტომ დართო ნება მას „მცირეოდენი გართობისა“, რომ ღრმად იყო დარწუნებული - ვერცერთი ლამაზმანი ვერ დაარღვევდა მათს 20-წლიან საოჯახო იდილიას. შეუღლებისთანავე ცხადი იყო ამ ქალისათვის, რომ (ეს კალმით ნახატი) მარჩელო მისი ერთგული უბრალოდ ფიზიკურად ვერ იქნებოდა და მაშინვე აპატია ქმარს ყველა წარსული და მომავალი საღალატო გასეირნებანი. ფლორას ერთი იტალიური სიბრძნეც კარგად ახსოვდა - „იტალიელი კაცი შეიძლება აღმერთებდეს ცოლს, ფეხქვეშ ეგებოდეს საყვარლებს, მაგრამ ნამდვილი სიყვარულით მას მხოლოდ საკუთარი დედა უყვარს““- და ამიტომაც ზედმეტი სკანდალებით არ აწუხებდა მარჩელოს... ხანდახან კი ისე, მოვალეობის მოხდის მიზნით, დატუქსავდა ხოლმე მას.

მაგრამ ამჯერად პარიზიდან დაბრუნებულ მარჩელოს, მგონი, ბევრად უფრო სერიოზული სენი შეჰყროდა; ეს არ იყო რაღაც „მცირეოდენი გართობა“, ის ვიღაც „ფრანგი გომბიო“, მგონი, მართლა შეჰყვარებოდა მარჩელოს.

**...და ფლორა არ შემცდარა**

მთელი წლის განმავლობაში მარჩელო ემუდარებოდა ფლორას, რომ განქორწინება მიეცა მისთვის; ფლორა უარზე იდგა - ხან ემუქრებოდა და ხან ფეხებს უკოცნიდა, მეზობლების თვალწინაც კი გათათხა ერთხელ (იტალიურ სტილში), მაგრამ მარჩელოს არაფერმა უშველა. ბოლოს ფლორამ სახალხოდ აკადრა - „უკვე 49 წლის ხარ და აღარაფერი შეგიძლია“ და არც ამან გაჭრა... მარჩელო ისევ განქორწინებას ითხოვდა და ფლორა დანებდა...

...განქორწინდნენ!

...გახარებული მარჩელო პარიზისაკენ გაფრინდა. მართალია, ის „ფრანგი გომბიო“ სატელეფონო ზარებზედაც აღარ პასუხობდა, მაგრამ მარჩელოს სჯეროდა, რომ ამ ქალს მაინც მოიგდებდა ხელთ; ბოლოსდაბოლოს იგი ხომ მსოფლიო დონის მსახიობი მარჩელო მასტროიანი იყო?!

**„ფრანგი გომბიო“ კი კეტრინ დენევი გახლდათ!**

